N 204 12/06/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის,

ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის

ბესიკ ტაბიძის მოსახლეობასთან შეხვედრის და

2018 წლის ანგარიშის წარდგენის ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 11. 06. 2019 წელი 12:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ბესიკ ტაბიძე, მერის წარმომადგენელი ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ირაკლი გუჯაბიძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი და სოფელ ნიგვზიანის ადგილობრივი მაცხოვრებლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბესიკ ტაბიძემ მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გამონახეს დრო მათთან შესახვედრად და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად მის მიერ 2018 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. აღნიშნა, რომ მისი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარისა და ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტიტის მიზანს წარმოადგენს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა, ღრმად აქვს გააზრებული თუ რა მნიშვნელობა აქვს იყო ხალხის რჩეული ისეთი მაჩვენებლით, როგორიც არჩევნების შედეგებმა გამოამჟღავნა, ამიტომ თავს ვალდებულად თვლის იყოს თითოეული მათგანის ოჯახის წევრი, მათი გაჭირვებისა და ლხინის გამზიარებელი.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში მის მიერ მოწვეული და ჩატარებული იქნა საკრებულოს 24 და ბიუროს 12 სხდომა. ასევე არის ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი, მონაწილეობა მიიღო ფრაქციის 9 სხდომაში, როგორც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, აქტიურად არის ჩართული საბჭოს მუშაობაში.

დეპუტატმა ბესიკ ტაბიძემ ვრცლად ისაუბრა ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში შესრულებული სამუშაოების შესახებ, რომელიც მოიცავს მისი როგორც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის მიერ გაწეულ მუშაობას. მან აღნიშნა იმ პროექტების შესახებ, რომელიც 2018 წელს ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა. კერძოდ;

-რეაბილიტაცია ჩაუტარდა ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმთან მისასვლელ გზას;

-სტიქიით გამოწვეული ზარალის გამო სახლის სახურავით უზრუნველყოფილი იქნა 25 მოქალაქე, ხოლო 5 მოქალაქის სახლი სრულად გადაიხურა;

-რკინიგზის გასწვრივ (რომან აფხაზავა) განხორციელდა ხიდის აღდგენა;

-ხაჯალიაში შეკეთდა თოთიბაურის ხიდის სავალი ნაწილი;

-ხაჯალიაში შამილ შაინიძესთან მოეწყო ხიდი;

-ჯიხანჯირში აკაკი თავდგირიძის ეზოსთან მოეწყო მილ-ხიდი;

-არჩეულში ნუგზარ ტაბიძის წინ მოეწყო მილ-ხიდი;

-არჩეულში ჟუჟუნა ხოზრევანიძის ეზოსთან მოეწყო მილ-ხიდი;

-წიაღობანში აღდგა სტიქიის შედეგად დაზიანებული გზა;

-ზოია ტუღუშის საცხოვრებელ სახლთან მოეწყო გაბიონი;

-გურამ აფხაზავას ეზოსთან მოეწყო გაბიონი;

-ზემიკო ჯიჯიეშვილის წინ აღდგა ხიდი;

-ნიგვზიანში თემურ კახიძის ეზოსთან მოეწყო ნაპირსამაგრი;

-ჩიქვეთის მიმავალ გზაზე მოეწყო ყორე-ქვის გაბიონი;

-ჩანჩეთში ივერი მოისწრაფიშვილის ეზოსთან მოეწყო გაბიონი;

-არჩეულში გია ჭანტურიას ეზოსთან მოეწყო გაბიონი;

-არჩეულში ქეთინო აფხაზავას წინ მოეწყო ნაპირსამაგრი და აღდგა დაზიანებული ხიდი;

-არჩეულში მერაბ ტუღუშის სახლის წინ მოეწყო გაბიონი;

-არჩეულში ცირა ჭანტურიშვილის ეზოსთან მოეწყო გაბიონი;

-არჩეული-ნინოშვილის დამაკავშირებელ გზაზე მოეწყო ყორე-ქვის გაბიონი;

-ხაჯალიაში მონიავას ეზოსთან მოეწყო რკინა ბეტონის არხი;

-ხაჯალიაში გრიგოლ გორგაძის ეზოსთან განხორციელდა არხის გაწმენდა 300მ. ნაწილობრივ გატანით;

-წიაღობანში მოეწყო რკინა ბეტონის არხი;

-სოფელ ჩიქვეთში მოეწყო რკინა ბეტონის გზა;

-სანდრო რუსიძის ეზოსთან შეკეთდა ხიდის სავალი ნაწილი;

-ხაჯალიაში გოდერძი კვაჭაძის ეზოსთან აღდგა 3 ცალი დაზიანებული მილხიდი;

რეგ. ფონდი

-ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჩანჩეთში აღდგა გზა;

-სოფელ არჩეულში აღდგა მისასვლელი გზა;

-მისასვლელი გზის აღდგენა მოხდა ნიგვზიანის სასაფლაოსთან;

-ხაჯალიაში ნონა მიქაბერიძის ეზოსთან მოეწყო რკინა ბეტონის გზა;

-არჩეულში მინდია ფოფხაძის ეზოსთან მოეწყო რკინა ბეტონის გზა;

-გურამ შაინიძის ეზოსთან მოეწყო რკინა ბეტონის გზა;

მაჟორიტარმა დეპუტატმა ასევე აღნიშნა იმ პროექტების შესახებ, რომელიც მიმდინარე წელს ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში უნდა განხორციელდეს. კერძოდ;

-ხაჯალიაში იგეგმება ახალი საბავშვო ბაღის აშენება, რომელიც ყველა სტანდარტს და თანამედროვე გამოწვევას დააკმაყოფილებს;

-მიმდინარეობს ნიგვზიანის სკოლის სრული რეაბილიტაცია, რომლის ინფრასტრუქტურა ევროსტანდარტების შესაბამისად მოწესრიგდება;

-ხაჯალიაში მოეწყობა ნაპირსამაგრი გაბიონები;

-მოწესრიგდება საყანე ფართობებთან მისასვლელი გზა;

-სავალალო მდგომარეობაშია და აღდგება ხიდი ,,წიქარასთან;

-ჯიხანჯირის გზაზე დაიგება ბეტონი;

-ნოდარ მიქელაძისა და მამუკა თავდგირიძის ჩასასვლელში დაიგება ბეტონის გზა;

-ყურადღება მიექცევა ბეტონის ანძის ბოძებს;

-წიაღობანში (ლევან აბაშიძის ამოსასვლელში) დაიგება ბეტონის გზა და გაკეთდება არხი;

- წიაღობანში (ოთარ ფუტკარაძის ამოსასვლელში) შესაძლებლობის ფარგლებში დაიგება ბეტონის გზა;

-ბუკულოვების უბნიდან კალაძის ხიდემდე დაიგება ბეტონის გზა;

-სანდრო რუსიძის სახლიდან გაგრძელდება და დაიგება 160 მეტრი ბეტონის საფარი;

-ბებეთში დაიგება 110 მეტრი ბეტონის საფარი;

-ნუგზარ ტაბიძის სახლთან 150 მეტრი ბეტონის არხი გაკეთდება;

-ნიგვზიანში ,,ჯაიანების“ მხარეს გაკეთდება 20 მეტრიანი გზა;

-მერაბი ტუღუშის სახლთან 20 მეტრი ბეტონის გზა დაიგება;

-კეკუტიების ასასვლელში 70 მეტრი ბეტონი დაიგება და დაახლოებით 70 მეტრი ბეტონის არხი გაკეთდება;

-ხაჯალიაში ნორა მიქაბერიძის სახლთან გაკეთდება დამცავი კედელი;

-იამზე კახაძესთან შერემონტდება მილხიდი;

-ზურაბ მჟავიასთან დაიგება ბეტონის გზა;

-მურმან ტუღუშისა და კვირკველიას მხარეს 600 მეტრი არხი გაკეთდება;

-სელიმ ჯაიანის ასასვლელში დაიგება ბეტონის საფარი;

-გუჯანაში ბორის ტუღუშის საცხოვრებელ სახლთან შეკეთდება ხიდი;

-თამრიკო ბერიძის სახლის მიმდებარედ ასევე გაკეთდება ხიდი;

-ნიგვზიანის საბავშვო ბაღში დარბაზი მოეწყობა;

-ჩიქვეთში ჯემალ სუმანიძესთან დაიგება 100 მეტრი ბეტონის საფარი;

-ჩიქვეთში ასევე გაკეთდება ხოზრევანიძის ხიდი;

-ნიგვზიანში სტანდარტული სტადიონი გაკეთდება;

-გაიწმინდება საყანე ფართობები ,,სვიანასგან“;

-ავთო სურმანიძის სახლთან დაახლოებით 40 მეტრი ბეტონი დაიგება;

-ნიგვზიანის სასაფლაოსთან გაკეთდება ცხაური;

-შოთა შაინიძესთან დაიგება 80 მეტრი ბეტონის გზა;

-გუჯანაში 30 ტონიან წყლის ავზს რემონტი ჩაუტარდება;

დეპუტატმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელდება შემდეგი პროექტები:

-მოეწყობა გარე განათება არჩეული ნინოშვილის დამაკავშირებელ გზაზე;

-ხაჯალიაში, წიაღობანისა და ჯიხანჯირის უბნებში, ნიგვზიანში აფხაზავებისა და ხეთის უბნებში. ასევე განხორციელდება ნიგვზიანში შინმოუსვლელთა მემორიალის შემოღობვა და არხის გაწმენდა შუქრი ვაშაკიძის კარ-მიდამოსთან, ხაჯალიაზე ე.წ ,,ბუკულოვების“ უბანში მოეწყობა მცირე სპორტული მოედანი.

დეპუტატმა ბესიკ ტაბიძემ, მის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენის შემდეგ, სთხოვა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

შეხვედრაზე მოსახლეობის მხრიდან დაისვა პრობლემური საკითხები:

-სოფელ ხაჯალიაში მოსაწესრიგებელია წყლის საკითხი;

-არჩეულში, სერგო აფხაზავას სახლის მიმდებარედ აუცილებელია ცხაურის მოწყობა;

-ჯიხანჯირში ხოზრევანიძესთან მოსაწესრიგებელია 3 მილ-ხიდი და ბეტონის გზა;

-ხაჯალიაში ნუგზარ ხოფერიას სახლთან აუცილებელია მისასვლელი გზის მოწყობა;

-ადგილობრივების თხოვნაა, რომ წიაღობანსა და ჯიხანჯირს ოფიციალური სოფლის სტატუსი მიენიჭოს;

მოქალაქე ნანა კვაჭაძემ აღნიშნა, რომ აზიური ფაროსანა საგრძნობლად შემცირებულია და წერტილოვანი შეწამვლა მეტად ეფექტური გამოდგა. იგი მიიჩნევს, რომ თერმული ნისლით შეწამვლა ხეხილისა და ბოსტნეულისთვის საზიანოა.

მოქალაქე თენგო ვადაჭკორიამ აღნიშნა, რომ შენგელიების ეზოში არის 25 ტონიანი წყლის დაზიანებული ავზი, რომელიც შეკეთებას საჭიროებს.

მოქალაქე პაატა ორაგველიძემ აღნიშნა, რომ გოგიჩაიშვილების უბანში გასაწმენდია სანიაღვრე კვლები.

ადგილობრივმა მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა ბესიკ ტაბიძეს აქტიურობისა და თანადგომისათვის, მისი ძალისხმევით და მხარდაჭერით განხორციელებული სამუშაოებისთვის.

დასასრულს, საკრებულოს თავმჯდომარემ და ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა აღნიშნა, რომ როგორც საკრებულოს წევრი, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი და თანამდებობის პირი, ყველა ღონეს იხმარს, რომ მისი

სადეპუტატოს უფლებამოსილების პერიოდში გადაწყდეს ყველა ის პრობლემა, რომელიც ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას აწუხებს.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო